თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

რა უნდა იცოდეს ამომრჩეველმა?

იხილეთ **მე-3 გვერდზე**

პარტიები ქუთაისში საგზიტაციო მასალებს კანონდარღვევით ავრცელებენ

იხილეთ **მე-4 გვერდზე**

№15 (754) 19 - 25 სექტემბერი, 2016 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი

ამომრჩეველთა სია ისევ რჩება აქილევსის ქუსლად



ქუთაისის №48 სამაჟორიტარო ოლქის ერთ–ერთ უბანზე სიაში რამდენიმე მიცვალებულია. იუზა ცუცქირიძეს (ზვიად გამსახურდიას I შესახ. #9/33), გალინა ცირანკოვას (ზვიად გამსახურდიას I შესახ. #9/3), ანასტასია ციციკოვას (ზვიად გამსახურდიას I შესახვევი #19) ეთერ ხარაზიშვილს (ჯავახიშვილის 83, ვახტანგ კაჭუხაშვილს (რუსთაველის მე–4 ჩიხი #6) აღნიშნულ მისამართებზე საპარლამენტო არჩევნების მოსაწვევები წელსაც მიუვათ, მიუხედავად იმისა, რომ მათი მისამართი უკვე იმიერია.

ქუთაისში 152 000 ამომრჩეველია დარეგისტირიებული, ეს მონაცემები სამ მაჟორიტარულ ოლქს მოიცავს, ანუ ქუთაისის მცხოვრებლებს პლუს თერჯოლის რამდენიმე სოფელი.

ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ამომრჩეველთა სია კვლავ რჩება ცესკოს აქილევსის ქუსლად.

პაატა ბურჭულაძის პარტია სახელმწიფო ხალხისთვის შტაბის უფროსი №48 მაჟორიტარულ ოლქში აღნიშნულ პრობლემებზე მუშაობს და ცოტა ხანში გარდაცვლილთა სრული სიის გასაცნობად ბრიფინგის მოწყობასაც გეგმავს.

„იუსტიციის სამინისტრო წელიწადში ორჯერ ანახლებს ხოლმე საარჩევნო სიას, სწორედ იმიტომ, რომ მსგავის ტიპის პრობლემები არ არსებობდეს და ამომრჩეველთა სია რაც შეიძლება დახვეწილი და რეალურ სურათთან მაქსიმალურად მიახლოებული იყოს. როგორც ჩანს, სამინისტროს ამის გაკეთება არ აწყობს. ხელისუფლება აღარც კი ახსენებს ბიომეტრიულ სიებს,“ – აცახდებს ვანო კაპანაძე.

"პატრიოტთა ალიანსის" ქუთაისის #49-ე ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატის, გოგი წულაიას განცხადებით, ამომრჩევლები არარსებულ მისამართზე არიან რეგისტრირებული.

მისი თქმით, ამის შესახებ ინფორმირებულია ცესკო და ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიაც, მაგრამ რეაგირებას არ ახდენენ.

"ორი თვრამეტსართულინი კორპუსი არის საოლქოს საზღვრებში, რაც ბუნებაში არ არსებობს. ქუთაისში არ არის ასეთი კორპუსები. გარდა ამისა, სახანძროში, ელექტროსადგურში და ასეთ ობიექტებში არის ხალხი რეგისტრირებული. 1000-მდე ოჯახი არის ჰაერში, რაც იმას ნიშნავს, რომ დაახლოებით 4000 ამომრჩეველი ყალბი პასპორტით დადის ქალაქში. მოვუწოდებ საოლქო საარჩევნო კომისიას გადახედოს საზღვრებს და ამოიღოს სიიდან არარსებულ მისამართზე რეგისტრირებული ოჯახები", - აცხადებს წულაია.

პატრიოტთა ალიანისის შტაბის უფროსიც გოგიტა ხურციძე ამბობს, რომ სიებთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები არსებობს: ,,ჩვენი სია არის გაბერილი, ისეთ მისამართებზეა ხალხი დარეგისტრირებული, რომლიც ბუნებაში არ არსებობს.“

ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატი გია თევდორაძე აცხადებს, რომ ამ არჩევნებისთვისაც, ისე როგორც გასულ წლებშიც, სიებში არის გაორებები, არარეალური მისამართები, არიან „მკვდარი სულები“ უმისამართო ადამიანები.

„ამ შემთხვევაში, არ მგონია, ეს იყოს მიზანმიმართული ღონისძიება არჩევნების გასაყალბებლად.

ეს პრობლემები ნათელჰყოფს, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ორგანიზებულობის და შესაბამის სტრუქტურებთან კოორდინაციის პრობლემა კვლავაც გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის ობიექტურ სიებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა, შედეგობრივად ეს მდგომარეობა ვერაფერს შეცვლის. ჩვენ სრულ მზადყოფნაში ვართ, დავიცვათ ჩვენი ამომრვეველების ხმები," - აცახდებს გიორგი თევდორაძე.

ქუთაისის 59–ე საოლქო საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ სიებში არსებული ხარვეზების შესახებ ინფორმაციას ახლა აგროვებენ.

„საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ამჟამად არიგებენ საპარლამენტო არჩევნების მოსაწვევებს და შესაბამისად ადგილზე გასვლით დგინდება, ვინ მიიღო რეალურად ეს მოსაწვევები, რამდენია გარდაცვლილი, რამდენია ემიგრაციაში, ან ვინ არ არის სიაში, არსებული მონაცემების შესაბამისად მოხდება შესწორებები“.

არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-16 დღისა, ანუ 2016 წლის 22 სექტემბერამდე, თითოეულ მოქალაქეს საკუთარი მონაცემების გადამოწმება შეუძლია სპეციალურ საიტზე - **voters.cec.gov.ge**

ამომრჩეველთა სიაში მონაცემების გადამოწმებისას, მომხმარებელი ასევე ნახავს ინფორმაციას, თუ რომელ საარჩევნო უბანზეა რეგისტრირებული. უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა მიმართოს, და მოითხოვოს ცვლილების შეტანა.

მაკა ჩინიჯიშვილი

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი–დემოკრატიის ფუნდამეტი“ ფარგლებში.
ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ ”ღია საზოგადოება-საქართველოს” პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ცესკომ ახალი მონაცემები მიიღო

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) 16 სექტემბერს ამომრჩეველთა შესახებ განახლებული მონაცემები მიიღო. ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიას და თავმჯდომარის მოადგილე გიორგი შარაბიძეს მონაცემების ელექტრონული ვერსია იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი პატარიძემ და თავმჯდომარის მოადგილე მამუკა სამხარაძემ გადასცეს.

სააგენტომ ცესკოს 3 577 375 პოტენციური ამომრჩევლის მონაცემები გადასცა. ცენტრალური საარჩევნო კომისია აღნიშნული მონაცემების საფუძველზე კიდევ ერთხელ განაახლებს ამომრჩეველთა ერთიან სიას.

მონაცემების ხელახალი დამუშავების შემდეგ, ამომრჩეველთა განახლებული სიების საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია ხელმისაწვდომია საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიებისთვის, საარჩევნო ბლოკებისთვის, საინიციატივო ჯგუფებისთვის, საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრული დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და ამომრჩევლებისთვის (ამომრჩეველს უფლება აქვს, მოითხოვოს მხოლოდ საკუთარი და ოჯახის წევრების შესახებ არსებული ყველა მონაცემის გაცნობა და მათში ცვლილების შეტანა).

სიაში უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა შესაბამის საარჩევნო კომისიას ან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უნდა მიმართოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-16 დღისა (2016 წლის 22 სექტემბერი) და მოითხოვოს ცვლილების შეტანა.

მიწაზე საკუთრების რეგისტრაცია გამარტივდა

იხილეთ **მე-3 გვერდზე**

PS news.ge
ISSN 1987-7056

დავით სერგეენკო: „ქართული ჯანდაცვის სისტემა უმაღლესი ხარისხის, ევროპული სტანდარტების შესაბამისი გახდება“

საყოველთაო ჯანდაცვა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მასშტაბური და წარმატებული პროექტია. მისი დამსახურებით, საქართველოს არაერთი მოქალაქისთვის გახდა სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი. ფაქტობრივად, ეს ის პროექტია, რომლის სიკეთეც ასობით ათასმა მოქალაქემ უკვე იგრძნო და შედეგად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საზოგადოებამ ერთ-ერთ წარმატებულ უწყებად აღიარა. თუმცა, ცხადია, ჯანდაცვის სამინისტრო მხოლოდ ამ პროექტით არ შემოიფარგლა _ დავით სერგეენკოს მტკიცებით, პარალელურად, არაერთი, საქართველოს მოქალაქეების ინტერესებზე ორიენტირებული პროექტი ხორციელდება. სამომავლოდაც უამრავი სიახლეა დაგეგმილი. ჯანდაცვის მინისტრი იმედოვნებს, რომ სწორედ ამ რეფორმების დამსახურებით, საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ევროსტანდარტების შესაბამისი გახდება.

_ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ისაა, საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, დროული და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს. სწორედ ამიტომ, საყოველთაო ჯანდაცვის ამოქმედების შემდეგ, ჯანდაცვის სამინისტრო ახალ მიმართულებაზე გადავიდა და პირველადი ჯანდაცვის რგოლის რეფორმა დავგეგმეთ. ჯანდაცვის პირველადი რგოლის ხარისხიან მუშაობაზე დიდწილად არის დამოკიდებული საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხი და სერვისების ხელმისაწვდომობა.

გამოკვეთილად და აქცენტირებულად მინდა ვთქვა, რომ ეს იქნება პირველადი ჯანდაცვის ძირეული რეფორმა. ზოგადად ბევრ ქვეყანას დაემართა ასეთი რამ, როცა არ იქნა ჯეროვანი ყურადღება მიქცეული პირველად ჯანდაცვაზე და მთელი დატვირთვა გადავიდა ჰოსპიტალურ სექტორზე. თავისთავად ცხადია, რა დიდ რისკებს მოიცავს პროცესი, როდესაც პირველადი ჯანდაცვა ვერ ასრულებს თავის ძირითად როლს. ეს როლი იდეალურ შემთხვევაში სამედიცინო საჭიროებების 80% მართვაა და მხოლოდ 20% უნდა გადადიოდეს სტაციონარულ მკურნალობაზე. თუმცა, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, ეს უნდა იყოს პირველადი ჯანდაცვის რგოლის მიერ სამედიცინო საჭიროებების უმრავლესობის მართვა. სამწუხაროდ, ჩვენ გაქვს სურათი, როდესაც პაციენტები პირდაპირ სტაციონარებში მიდიან და თავადვე ირჩევენ, რა სპეციალობის ექიმთან მივიდნენ. თანაც მიდიან დაგვიანებით. საერთოდ გამოტოვებულია ოჯახის ექიმისა და ზოგადად პირველადი ჯანდაცვის ინსტიტუტი. ამ ფონზე, ჩვენი მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება ცოტა ადამიანს, ცოტა პაციენტს დასჭირდეს ჰოსპიტალური და მაღალტექნოლოგიური ჩარევები. ჯანდაცვის მთავარი კარიბჭე სწორედ პირველადი ჯანდაცვაა.

_ არ ფიქრობთ, რომ ექიმთან დაგვიანებული ვიზიტის მიზეზი, ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემები, მედიკამენტების ფასი და სამედიცინო მომსახურების ხარისხია?

_ დიახ, გატარებული რეფორმების მიუხედავად, ჯანდაცვის სფეროში კვლავ არაერთი პრობლემაა. მათი უმრავლესობა, იმ სიახლეების ფონზე, რომელსაც სამინისტრო გეგმავს, აუცილებლად მოგვარდება. მათ შორის კი, პირველადი ჯანდაცვა, ნამდვილად ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს განახლებული, აქამდე არ გამოყენებული ინოვაციური მოდელები, უკვე გატარებული თუ დაგეგმილი რეფორმები, საშუალებას მისცემს ჯანდაცვის სისტემას, გახდეს მაღალი ხარისხის, მაღალი კლასის და ევროპული სტანდარტების შესაბამისი. რაც შეეხება მედიკამენტების ფასს, სწორედ იმ მიზნით, პრეპარატები ყოფილიყო ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი, დაიწყო ქვეყანაში ჯენერიკ მედიკამენტების შემოტანა.

_ რასაც საზოგადოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მოყვა. ზოგმა ჩათვალა, რომ ისინი უხარისხოა.

_ ზოგადად, საზოგადოების დიდი ნაწილი მტკივნეულად რეაგირებს ნებისმიერ ცვლილებაზე. წამლების ფასი მძიმე ტვირთად აწვება პაციენტებს. საჭიროა, ფარმაცევტული ხარჯების რაიმე გზით შემცირება. ამ შემთხვევაში, ოპტიმალური გამოსავალი ეკონომიური შეფუთვის მქონე ჯენერიკ მედიკამენტების შემოტანაა. ჯენერიკების სეგმენტის გაფართოება აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა გაიზარდოს და მეტი სტიმული ადგილობრივ წარმოებას მიეცეს. თუმცა, პარალელურად, აუცილებელია მედიკამენტის ხარისხის კონტროლის სისტემის გაძლიერება, რაც უკვე დაწყებული გვაქვს და ვცდილობთ, არ დავუშვათ, ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე უხარისხო პრეპარატი მოხვდეს. სხვათა შორის, პერიოდულად სამინისტრო უფასო მედიკამენტების გადაცემის პროგრამებსაც წარმატებით ახორციელებს.

_ მედიკამენტებს უფასოდ ჩ ჰეპატიტის დიაგნოზის მქონე პაციენტებიც იღებენ. ივნისიდან, შესაბამის პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები გაუქმდა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ პროგრამა წარმატებით მუშაობს?

_C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტროსთვის კი არა, ზოგადად მთავრობისთვის, უმნიშვნელოვანესია. ის მხოლოდ იმიტომ არ დავიწყეთ, რომ ამ დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის საჭირო პრეპარატები ყოფილიყო ხელმისაწვდომი. მიზანი ისიც იყო, რომ ზოგადად, ახალი შემთხვევების აღმოცენებას შევუშალოთ ხელი. ამ მიზნით, უკვე გამკაცრდა კონტროლი სამედიცინო დაწესებულებებში, სტომატოლოგიურ კაბინეტებში, ტატუ თუ სილამაზის სალონებში. პროგრამით უკვე 10 ათასამდე მოქალაქე სარგებლობს. გვყავს გამოჯანმრთელებული პაციენტებიც. 10 ივნისიდან კი, C ჰეპატიტით დაავადებულ მოქალაქეებს მკურნალობა კრიტერიუმების გარეშე შეუძლიათ. ეს ნიშნავს, რომ C ჰეპატიტით დაავადებულ ნებისმიერ მოქალაქეს დამატებითი კრიტერიუმის გარეშე შეეძლება ისარგებლოს. მათ საშუალება ექნებათ, C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამისა და ღვიძლის დაზიანების ხარისხის სიმძიმის მიუხედავად, უსასყიდლოდ მიიღოს უახლესი თაობის მედიკამენტები. აქამდე ამის საშუალება მხოლოდ ყველაზე მძიმე კლინიკური მდგომარეობის პაციენტებს ჰქონდათ. პარალელურად, პროგრამაში ჩართვის პროცედურაც გავამარტივეთ _ აქამდე პაციენტს განაცხადის შეტანიდან მკურნალობის დაწყებამდე სჭირდებოდა 2 თვე, ეს ვადა 2 კვირამდე მცირდება. ამ ცვლილებების მიზანია, რაც შეიძლება მეტ ადამიანს მიეცეს პროგრამაში ჩართვის საშუალება.

_ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მიზანიც ხომ ის იყო, რაც შეიძლება მეტ ადამიანს ესარგებლა სამედიცინო მომსახურებით. ოპონენტები მუდმივად ცდილობენ ამ პროგრამას ხარვეზები უპოვონ. გაამართლა თუ არა საყოველთაო ჯანდაცვამ და რამდენად მდგრადია ეს პროგრამა?

_ ნებისმიერი რეფორმის განხორციელებისას ხარვეზები შეიძლება ეტაპობრივად გამოჩნდეს. მთავარია, გზადაგზა მათი გამოსწორება შევძლოთ. მთავარი კი შედეგია. ვფიქრობ, საყოველთაო ჯანდაცვა ერთ-ერთი წარმატებული პროექტია, რადგან სწორედ მისი საშუალებით, საქართველოს მოქალაქეებს, დროული და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიღება შეუძლიათ. რაც შეეხება პროგრამის მდგრადობას, მისი უზრუნველყოფისთვის რამდენიმე რეფორმის განხორციელება იგეგმება. მაგალითად, ხარისხის კონტროლის სისტემის პირველი ნაბიჯის დანერგვა და პერსპექტივაში სრულყოფა. ხარისხის იდეალური უზრუნველყოფის შემთხვევაში შეიძლება დაიზოგოს მთლიანი ჯანდაცვის დანახარჯების 30%. ჩვენ არ გვაქვს განცდა, რომ პირველივე თვეებში მივაღწევთ ამას, თუმცა ხარისხის ტოტალური მენეჯმენტი არის პირველი გზა იმისათვის, რომ პაციენტმა მიიღოს ხარისხიანი მოვლა, სამედიცინო დაწესებულებას დაეზოგოს თანხა და სახელმწიფომ შეძლოს საბიუჯეტო სახსრების რაციონალური გამოყენება.

_ ანუ საყოველთაო ჯანდაცვა არ გაუქმდება, როგორც ამას ვარაუდობენ?

_ ხაზგასმით ვაცხადებ, არ მოიაზრება რაიმე სახით დავუბრუნდეთ მიზნობრივ ჯანდაცვას. საყოველთაო ჯანდაცვა შენარჩუნდება. უბრალოდ, გარკვეული ცვლილებები შევიტანეთ _ მკურნალობის ხარჯებს სახელმწიფო მას უფარავს, ვისაც ეს უფრო მეტად სჭირდება. საყოველთაო ჯანდაცვა არსებული დეფინიციით არის შემდეგი, რომ სახელმწიფო ქმნის მოსახლეობის 100 პროცენტით დაფარვას, თუნდაც საბაზისო მომსახურებით. არსებობს მოქალაქეების გარკვეული კატეგორია, რომელშიც სახელმწიფო ფულს არ ხარჯავს, სწორედ ამ ხარჯებს ვამისამართებთ მათზე, ვისაც დაბალი შემოსავალი აქვს ან საჭიროებს მეტ მხარდაჭერას.

_ ოპონენტები ამტკიცებენ, რომ საყოველთაო ჯანდაცვამ სამედიცინო დაწესებულებებს შეუქმნა პრობლემა, რომ სახელმწიფოს დავალიანება საავადმყოფოების მიმართ, 2015 წლის მდგომარეობით, 65 მილიონი ლარიაო. მართლა დეფიციტურია პროგრამის ბიუჯეტი და დამატებითი ვალის აღებაც მოგიწევთ?

_ ასეთი ტიპის განცხადებებს მიზანმიმართულად ავრცელებენ. შარშანაც, მთელი წელი, რიგი ადამიანებისა, მათ შორის ჩემი ყოფილი კოლეგები, შესაშური მოტივაციით, სიჯიუტითა და სიხშირით აყენებდნენ ამ დეზინფორმაციას. იმ წელმა ჩაიარა და ვნახეთ, რომ არც ერთი დღე არ გვქონია შეფერხება. ასე მოხდება წელსაც. რაც შეეხება კლინიკების დავალიანებას, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მსგავსი რამ არ მომხდარა. მეტიც, ორიოდე წლის წინ, რიგი სადაზღვევო კომპანიების, დავალიანების გარკვეული მენეჯმენტიც კი, სახელმწიფომ აიღო თავის თავზე, რადგან ჩვენი მოვალეობაა სამედიცინო მოვლის, სამედიცინო დახმარების მიწოდების უწყვეტობის უზრუნველყოფა.

_ სამედიცინო დახმარების უწყვეტობის უზრუნველყოფის ვალდებულება აქვს ხელისუფლებას რეგიონებშიც, სადაც ჯერ კიდევ არაერთი პრობლემაა ჯანდაცვის მიმართულებით. სოფლის ექიმების მდგომარეობა გაუმჯობესდა?

_ გეთანხმებით, ქართულ ჯანდაცვაში ერთ-ერთი სუსტი წერტილია სოფლის ექიმის პროექტი. ერთი შეხედვით, ისე ჩანს, თითქოს თუ სოფლის ექიმებს მეტ ფულს გადაუხდი და ამბულატორიებს ააშენებ, ყველაფერი მოგვარდება. სამწუხაროდ, ასე არ არის. ხელფასი და ამბულატორიები აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი, რადგან, პირველ რიგში, სოფლის ექიმების გადამზადებაა საჭირო. მათი სტატუსი საკმაოდ ჩამორჩა თანამედროვე მიდგომებს. ამ ფონზე, სოფლის ექიმის პროექტს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. პროგრამა, რომელიც დაწყებულია, მოიცავს რამდენიმე ელემენტს _ დაფინანსების გაზრდას, ქსელური მართვის უზრუნველყოფას, სად რა სერვისები მიიღონ, ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერასა და ექიმებისა და ექთნების კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ პრობლემის მოგვარებას სისტემური მიდგომა სჭირდება. მუშაობა უკვე დაწყებულია და შედეგებს მალე ვნახავთ. რაც შეეხება ანაზღაურებას, პრობლემა იყო კომპლექსური _ მათი ანაზღაურების 50%-ს იხდიდნენ კერძო კომპანიები (თავის მხრივ, ამ თანხას მათ ჯანდაცვის სამინისტრო ურიცხავდა), დანარჩენ 50%-ს პირდაპირ ჯანდაცვის სამინისტრო რიცხავდა. კერძო ოპერატორი კომპანიების მიერ თანხის გადარიცხვა ხშირად რამდენიმე თვით გვიანდებოდა. შესაბამისად, ეს ადამიანები ისედაც ნახევარი ხელფასის ნახევარს იღებდნენ. ამას ემატებოდა ისიც, რომ იმ თანხიდანაც, ვალდებულება ჰქონდათ, შეეძინათ მედიკამენტები, გადაეხადათ იჯარის ქირა, კომუნალური გადასახადი... გამოსავალი მარტივად გამოვნახეთ. მართვა სახელმწიფომ მთლიანად თავის თავზე აიღო. 100%-ს სამინისტრო იხდის და ეს თანხა მიდის ყოველგვარი დაგვიანების გარეშე. პარალელურად, სახელმწიფომ აიღო თავზე მედიკამენტების, სახარჯი მასალისა და სხვა ხარჯების უზრუნველყოფა. ექიმის სპეციალურ ჩანთებსაც კი ვუკვეთავთ მათთვის. დამატებით, ბიუჯეტი, რომლითაც სოფლის ექიმები ფინანსდებოდნენ, გავზარდეთ 30%-ით. ჯერჯერობით, ეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა მათი პირობების გასაუმჯობესებლად. მომავალშიც არაერთ სიახლეს ვგეგმავთ. ეს კი, ცხადია, იმის დადასტურებაა, რომ ხელისუფლებისთვის ჯანდაცვა პრიორიტეტულია და ჩვენი მიზანია, დროული, უმაღლესი ხარისხის სამედიცინო მომსახურება, საქართველოს ყველა მოქალაქისთვის იყოს ხელმისაწვდომი იმის მიუხედავად, დედაქალაქში ცხოვრობს თუ მაღალმთიან რეგიონში.

_ ბატონო დავით, სოციალური დახმარების გარეშე ბოლო დროს ათასობით მოქალაქე დარჩა, რამაც მათი გაღიზიანება გამოიწვია. ეს ის საკითხია, რის გამოც ხშირად გაკრიტიკებენ. რატომ რჩებიან ადამიანები შემწეობის გარეშე, რა კატეგორიას მოუხსენით დახმარება და სამომავლოდ თუა მათთვის სამინისტროს მხრიდან რაიმე დაგეგმილი ?

_ მართლაც, ამ საკითხის გამო ხშირად მატარებენ კრიტიკის ქარ-ცეცხლში. რამდენჯერმე შეიცვალა სოციალური სტატუსის მინიჭების მეთოდოლოგია. ვეცადეთ და ვფიქრობ, წარმატებით გამოგვივიდა, ამ მეთოდოლოგიისთვის მოგვეცილებინა პოლიტიკური შემადგენელი. ჩანდა, რომ სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა ნახტომისებურად იზრდებოდა წინასაარჩევნო პერიოდებში. უბრალოდ, მოხდა სოციალურად დაუცველების დიფერენცირება. ყველაზე მეტად გაჭირვებული ოჯახები მეტ დახმარებას იღებენ. 30 000 ქულამდე ოჯახებს 60-ლარიანი დახმარება აქვთ, ყველაზე მაღალი ქულა 60 000-65 000-ია და ისინი 30-ლარიან დახმარებას იღებენ. ოჯახის ყველა წევრი, ყველა დონეზე თანაბარ დახმარებას იღებს. ყოველ ბავშვზე 10-ლარიანი დანამატია და დანამატებს იღებს ყველა ოჯახი, მათ შორის, 65 000 ქულის ჩათვლით. სამაგიეროდ, კონკრეტული ნივთების, ტელევიზორის ან მაცივრის გამო, მათ სტატუსის გარეშე არავინ დატოვებს. მეთოდოლოგიის შეცვლის მიზანი იყო, თავიდან აგვერიდებინა სტატუსის არაობიექტურად მიღების საფრთხე. ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც სოციალურ შემწეობებს იღებენ, მუდმივად იცვლება. საშუალოდ, თვეში 5 ათასის ფარგლებში. სოციალური სტატუსის დაკარგვის შემთხვევების 70%-ის მიზეზი ის იყო, რომ კონკრეტულ ადამიანებს გამოუჩნდათ დროებითი სამსახური და არ შეატყობინა შესაბამის უწყებას. ასეთ შემთხვევაში, სისტემა მას ავტომატურად ბლოკავს. არ გამოვრიცხავ, ამ პროცედურის დროს ისეთი კატეგორიაც დაზარალდა, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა შემწეობა, თუმცა მონაცემთა ეს ბაზები მუდმივად განახლებადია. სამომავლოდ, ვაპირებთ, კიდევ ერთხელ, საფუძვლიანად გადაიხედოს ეს მონაცემები და ზუსტად განისაზღვროს, ვინ, რა მიზეზით დაკარგა სტატუსი. ხელისუფლება, მმართველი ძალა, არ დაუშვებს, სტატუსის გარეშე დარჩნენ, მართლაც, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქეები, რომლებზე ზრუნვაც ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

მიწაზე საკუთრების რეგისტრაცია გამარტივდა

პირველი აგვისტოდან ძალაში მიწის რეგისტრაციის ახალი კანონი შევიდა, რეფორმა, რომლის ინიციატორი იუსტიციის სამინისტროა, უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებასა და მესაკუთრის უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული.

ინიციატივამ მოქალაქეების მაღალი ინტერესი გამოიწვია, რაც პირველი თვის შედეგებითაც დასტურდება: პირველი აგვისტოდან დღემდე საჯარო რეესტრში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 45 575 განცხადება შევიდა. აქედან 12 164 შემთხვევაში საჯარო რეესტრმა თავად მოიძია საჭირო საბუთები და ყოველგვარი ბარიერის გარეშე მოქალაქეს მიწა წარმატებით დაურეგისტრირა. 25 743 შემთხვევაში საჯარო რეესტრმა მოქალაქის ნაცვლად თავად დაიწყო სხვადასხვა უწყებაში შესაბამისი საბუთების მოძიება და ამ განცხადებათა დიდი ოდენობა ასევე წარმატებით დასრულდება, 4 648 განცხადება კი შესწავლის პროცესშია.

„მინდა, ამ უპრეცედენტო და მოქალაქეზე ორიენტირებული რეფორმის წარმატებისათვის კვირაში 7-დღიანი და თავდადებული მუშაობისათვის განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო საჯარო რეესტრის თითოეულ რეგისტრატორს, კადასტრისა თუ ახალი ტექნოლოგიების თითოეულ სპეციალისტს, იურისტს, არქივის, არქივირების და სკანერზე მომუშავე თანამშრომელს. როდესაც ჩვენ ამ რეფორმის კანონპროექტს ვწერდით, ვიცოდით, რომ მისი პრაქტიკაში განხორციელება დიდი გამოწვევა იქნებოდა საჯარო რეესტრისათვის. მიხარია, რომ დღეს თამამად შემიძლია, მადლობა ვუთხრა საჯარო რეესტრის თანამშრომლებს მოქალაქის ინტერესში წარმატებული მუშაობისათვის. ეს რეფორმა მთლიანად ცვლის საჯარო რეესტრს და მას მოქალაქის მეგობრად აქცევს“, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა პროექტის ერთთვიანი შედეგების შეჯამებისას.

რეფორმის დაწყების მიზეზი მიწის რეგისტრაციის კუთხით არსებული პრობლემები გახდა. პირველი აგვისტოს მონაცემებით, ქვეყანაში არსებული მიწის ნაკვეთების მხოლოდ 25: იყო რეგისტრირებული.

რეფორმას დადებითად აფასებს ექსპერტი დავით თამარაშვილი: **,,მიწის პატარა ფართობების მესაკუთრეებს კარგი შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ ამ პროგრამით და საკუთრების რეგისტრაციის პროცესი დააჩქარონ. მიმაჩნია, რომ ეს პროცესი ცალსახად ხელს შეუწყობს ქვეყანაში მიწის ბაზრის განვითარებას, რაც აგროსექტორის განვითარების ერთ–ერთი წინაპირობაა. იმედი მაქვს, ეს პროცესი მოიცავს ქართულ მიწებს მთელი ქვეყნის, მათ შორის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიებიდან წამოსულ დევნილებს აქვთ მიწის ნაკვეთები და საკუთრების უფლება, რომელსაც შესაბამისი რეჟიმით სახელმწიფო რეგისტრაცია სჭირდება, რაც ქართულ სახელმწიფოს ადრე თუ გვიან მისცემს იურიდიული ბრძოლის წინაპირობებს, რადგან რაც ფაქტობრივადაა დათმობილი, ის იურიდიულად არ უნდა იქნეს აღიარებული“**,– აცხადებს ის.

სიახლის შედეგად დოკუმენტებში არსებული უმნიშვნელო ხარვეზები(გვარის შეუსაბამობა, უზუსტობა ასოებში და ა.შ.), რის გამოც ზოგიერთი მოქალაქე მიწის რეგისტრაციას წლების განმავლობაში ვერ ახერხებდა, ხელისშემშლელი გარემოება აღარ არის, რასაც ფერმერი თემურ მარგალიტაშვილი მნიშვნელოვნად მიიჩნევს. **,,აქამდე ქაოტურად ხდებოდა მიწის რეგისტრაცია, ძალიან დიდი დრო მიჰქონდა ერთი დოკუმენტის მოწესრიგებას. მაგალითად, წინაპრების დანატოვარი მიწები დღეს ძალიან ბევრს ისევ არ აქვს დარეგისტრირებული. კარგი შანსია ჩვენთვის. ვაპირებ, გამოვიყენო და ყველა დოკუმენტი წესრიგში მოვიყვანო“**,–ამბობს მარგალიტაშვილი.

საჯარო რეესტრი რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტებს სხვადასხვა უწყებიდან მოქალაქეების ნაცვლად თავად იძიებს. ამასთან, სახელმწიფო მესაკუთრეებს დავების მოგვარებაშიც ეხმარება. რეფორმის ფარგლებში მოქმედებს სანოტარო მედიაცია, რომელიც მოქალაქეებს წარმოქმნილი დავების მარტივად, სასამართლოს გარეშე მოგვარებას სთავაზობს.

ასევე, რეფორმის ფარგლებში მოქმედებს ფაქტების კონსტატაციაც: იმ შემთხვევაში, როდესაც საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტით მიწის ნაკვეთის მდებარეობა, საზღვრები და ა.შ. არ დგინდება ან სადავო სიტუაცია ჩნდება, საჯარო რეესტრი ფაქტების დასაზუსტებლად აღსრულების ეროვნულ ბიუროს თავად მიმართავს და პროცესში ამ უწყების წარმომადგენელს რთავს.

პროექტის ფარგლებში უფასოდ ისარგებლებთ შემდეგი მომსახურებებით:

დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია; ნოტარიუსის მიერ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერის დამოწმება; მედიაცია, მათ შორის, სანოტარო მედიაცია; მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება; ფაქტების კონსტატაცია; მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაცია; საკადასტრო აზომვითი ნახაზის გარეშე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების დაზუსტება (რაც გულისხმობს ელექტრონული ნახაზის გარეშე არსებული მონაცემების დაზუსტების მიზნით ცვლილების რეგისტრაციას უფასოდ). საკუთრების უფლების დადგენის პროცესში ჩართულია მუნიციპალიტეტი როგორც ადგილზე არსებული ინფორმაციის ყველაზე ეფექტური წყარო.

მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისთვის მოქალაქეებს შეუძლიათ, მიმართონ იუსტიციის სახლებს, საჯარო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურებსა და საზოგადოებრივ ცენტრებს. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ცხელ ხაზზე: 2 405 405 ან ელექტრონული ფოსტით:

info@napr.gov.ge.

რა უნდა იცოდეს ამომრჩეველმა?

ვის აქვს კენჭისყრის დღეს უბანზე ყოფნის უფლება?

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს; ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებს/წარმომადგენლებს; საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს (ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის არაუმეტეს 1 წარმომადგენელს); რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს (ერთი და იმავე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის არაუმეტეს 1 დამკვირვებელს); რეგისტრირებული საერთაშორისო ორგანიზაციის დამკვირვებლებს (ერთი და იმავე საერთაშორისო ორგანიზაციის არაუმეტეს 2 დამკვირვებელს (მათ შესაძლოა ახლდეთ თარჯიმანი); მედიის აკრედიტებულ წარმომადგენლებს (ერთი და იმავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების არაუმეტეს 3 წარმომადგენელს).

რისი უფლება აქვს დამკვირვებელს?

-კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან; 4 კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს შეენაცვლოს მისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა რეგისტრირებულ წარმომადგენელს.

რა უნდა გაკეთდეს თუ კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის შესახებ მონაცემები არ მოიძებნა?

საარჩევნო უბანზე ელექტრონული სიების არსებობის შემთხვევაში მონაცემთა გადამოწმებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ამომრჩეველი მოძებნოს ელექტრონულ სიებში და მიაწოდოს ინფორმაცია იმ უბნის შესახებ, რომელშიც ის არის რეგისტრირებული; საარჩევნო უბანზე ელექტრონული სიების არარსებობის შემთხვევაში მონაცემთა გადამოწმებისთვის პასუხისმგებელი პირი უნდა დაუკავშირდეს საოლქო საარჩევნო კომისიას ან ცესკოს ცხელ ხაზს ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

შეძლება თუ არა, ხმის მიცემის პროცესს დაესწროს სხვა პირი?

საარჩევნო უბანზე ელექტრონული სიების არსებობის შემთხვევაში მონაცემთა გადამოწმებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ამომრჩეველი მოძებნოს ელექტრონულ სიებში და მიაწოდოს ინფორმაცია იმ უბნის შესახებ, რომელშიც ის არის რეგისტრირებული; 4 საარჩევნო უბანზე ელექტრონული სიების არარსებობის შემთხვევაში მონაცემთა გადამოწმებისთვის პასუხისმგებელი პირი უნდა დაუკავშირდეს საოლქო საარჩევნო კომისიას ან ცესკოს ცხელ ხაზს ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

თუ გაუფუჭდა ამომრჩეველს ბიულეტინი იმ შემთხვევაში?

თუ ამომრჩეველს ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან სპეციალური კონვერტი, მათ ეს უნდა აცნობონ კომისიის თავმჯდომარეს. კომისიის თავმჯდომარის დავალებით ამომრჩეველთა რეგისტრატორი ვალდებულია ამომრჩეველს შეუცვალოს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი/სპეციალური კონვერტი ახლით. კომისიის თავმჯდომარე გაფუჭებულ ბიულეტენს/სპეციალურ კონვერტს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოაჭრის კუთხეს, დააწერს ,,გაფუჭებულია“ და ხელს მოაწერს. კომისიის თავმჯდომარე გაფუჭებულ ბიულეტენს ცალკე ინახავს.

შეუძლია თუ არა ნებისმიერ პირს შეიტანოს ჩანაწერთა წიგნში პრეტენზია?

არავის არ აქვს უფლება, ხელი შეუშალოს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირს, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში შეიტანოს პრეტენზია, შენიშვნა ან საჩივარი. კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში ჩანაწერის შემტანი პირი ვალდებულია მიუთითოს თავისი გვარი, სახელი და მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით). კომისიის მდივანი განცხადებას/საჩივარს რეგისტრაციაში გაატარებს სარეგისტრაციო ჟურნალის შემოსული.

რა შემთხვევაში შეიძლება გამოძახებულ იქნას პოლიცია?

თუ კენჭისყრის შენობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე საფრთხე ექმნება კენჭისყრის ჩატარებას ან საარჩევნო დოკუმენტაციის უსაფრთხო გადაადგილებას, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით შეიძლება გამოძახებულ იქნენ და დარღვევის აღკვეთამდე კენჭისყრის შენობაში/მის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ პოლიციის მუშაკები.

გამოიყენება თუ არა გადასატანი ყუთი დროს მარკირება?

მარკირება არ გამოიყენება გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა მიმართ.

საჯაროა თუ არა შემაჯამებელი ოქმი?

კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ასლები გამოაკრას საჯარო გაცნობისათვის. კომისია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ასლებს, კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადასცემს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ასლები უნდა დამოწმდეს კომისიის სპეციალური ბეჭდით, კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების 30 ასლების მიღებას მიმღები პირი კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში ხელმოწერით ადასტურებს. კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები, შესწორების ოქმსა და რეგისტრატორების წერილობით ახსნა-განმარტებებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს ცესკოს.

მოამზადა მაკა ჩინიჯიშვილმა

რატომ დააკავეს იმერეთის კრიმინალური პოლიციის უფროსი

კრიმინალური პოლიციის იმერეთის სამხარეო სამმართველოს უფროსი გიორგი კაჭარავა ქუთაისში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა, თეა პერტაიამ საგანგებო ბრიფინგზე გააკეთა განცხადება, რომ კრიმინალური პოლიციის იმერეთის სამხარეო სამმართველოს უფროსი გიორგი კაჭარავა წინასწარი შეთანხმებით დიდი ოდენობით ქრთამის გამოძალვის ბრალდებითაა დაკავებული.

მისივე თქმით, კაჭარავასთან ერთად დაკავებულია სამმართველოს დეტექტივ- გამომძიებელი ზურაბ ჭ.

ბრიფინგზე ითქვა ასევე, გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი კაჭარავამ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვის ფაქტზე მოწმის სახით დაბარებულ მოქალაქეს უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის გარანტად, ასევე იმავე ბრალდებით დაკავებული მისი ახლობლისათვის საპროცესო შეთანხმების გაფორმების უზრუნველსაყოფად დარკვეული თანხის გადახდა მოსთხოვა.

გამოძიების ცნობით, მიმდინარე წლის 16 აგვისტოს შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, მოქალაქე ჯ.ჯ. დაკავეს, ხოლო მასთან ერთად მყოფი მოქალაქე – ბ.უ. მოწმის სახით გამოკითხვის მიზნით ქუთაისში, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს შენობაში დაიბარეს.

"პოლიციის შენობაში ყოფნის დროს მოწმის სახით დაბარებულ ბ.უ.-ს შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს უფროსი გიორგი კაჭარავა შეხვდა, რომელმაც აღნიშნულ მოქალაქეს, უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის გარანტად, გარკვეული ოდენობის თანხის გადახდა მოსთხოვა.

მიმდინარე წლის აგვისტოში ქუთაისში, ბ.უ. შეხვდა გიორგი კაჭარავას და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომელ ზურაბ ჭ.-ს, რა დროსაც, გიორგი კაჭარავას მითითებით, ზურაბ ჭ.-ს მოთხოვნილი თანხის ნაწილი გადასცა.

ორი დღის შემდეგ ბ.უ. ისევ შეხვდა გიორგი კაჭარავას და ზურაბ ჭ.-ს, რომლებმაც პროკურატურის სახელით მისი ახლობლის, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე დაკავებული ჯ.ჯ.-სთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმების უზრუნველსაყოფად, ოფიციალურად, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი ჯარიმის სახით, 30 000 ლარი, ხოლო დამატებით, არაოფიციალურად, ქრთამი მოითხოვეს.

მიმდინარე წლის 14 სექტემბერს გიორგი კაჭარავამ და ზურაბ ჭ.-მ ბ.უ.-ს გამოსძალეს მათ მიერ მოთხოვნილი თანხა, რა დროსაც ორივე მათგანი დაიკავეს", –ნათქვამია შსს–ს მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით მიმდინარეობს, რაც 11-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს.

პარტიები ქუთაისში სააგიტაციო მასალებს კანონდარღვევით ავრცელებენ

საქართველოში ჩატარებული არჩევნების პრაქტიკამ აჩვენა^ რომ წინასაარჩევნო პერიოდში აქტუალუარია პარტიების მიერ სააგიტაციო მასალების განთავსების პრობლემა, რის აღმოსაფხვრელადაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და ადგილობრივმა თვითმმართველობამ რამდენიმე ღონისძიება გაატარა. გაზეთი P.S დაინტერესდა, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქუთაისში.

„P.S.ფოტო" ლიკა დევდარიანი ©

2016 წლის 13 ივნისს ქუთაისის მერიამ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც განისაზღვრა სააგიტაციო მასალის განთავსების ადგილები. "ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების (პლაკატების) გაკვრა აკრძალულია საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, საგზაო ნიშნებზე, აგრეთვე ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე არსებულ გარეგანათების ბოძებზე..." ქალაქის მასშტაბით დადგმულია 11 სტენდი, სადაც უნდა განთავსდეს ყველა პარტიის სააგიტაციო პლაკატი.

– "სტენდები სპეციალურად ამ არჩევნებისთვის არ დადგმულა, ისინი რამდენიმე წლის წინ განთავსდა ქალაქში და პარტიები იყენებდნენ მას წინა არჩევნებზეც. ვთვლით რომ საკმარისია, ვინაიდან დაემატა მხოლოდ 2 სააგიტაციო ადგილი, ქალაქ ქუთაისის მოსწავლე–ახალგაზრდობის პარკი და ხარაზოვის ბაღში არსებული შენობა, სტენდების რაოდენობა კი უცვლელი დარჩა. აუცილებლობის შემთხვევაში სტენდებსაც დავამატებდით - განაცხადა ეკა მამისეიშვილმა , ქუთაისის მერიის პრესსამსახურის უფროსმა.

პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო კამპანია აქტიურ ფაზაში შევიდა. საარჩევნო-სააგიტაციო მასალის განთავსების წესები ყველა არჩევნებზე უხეშად ირღვევა. სააგიტაციო მასალის არასწორად განთავსება მოქმედი ხელისუფლების მაჟორიტარობის კანდიდატმა დაიწყო. დიმიტრი მხეიძეს მიბაძეს სხვა პარტიია კანდიდატებმაც და დღეს ქუთაისი ყველა ცენტრალური ქუჩის საგზაო ნიშნები და გარე განათების ბოძები მაჟორიტარობის კანდიდატების პლაკატებითა